სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/175

ქ. თბილისი

28 ნოემბერი 2023წ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე და 22-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 და მე-14 მუხლებისა და „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულების“ მე-15 მუხლის შესაბამისად, აკადემიური საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის №01-05-02/29 ოქმის საფუძველზე, **აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დაინიშნოს არჩევნები სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად.
2. არჩევნების შესახებ განცხადება ბეჭდვითი მედიის ორგანოში გამოქვეყნდეს 2023 წლის 29 ნოემბერს.
3. დანართი №1-ს შესაბამისად დამტკიცდეს განცხადება ბეჭდვითი მედიის ორგანოში გამოსაქვეყნებლად.

4. არჩევნებში მონაწილე პრეტენდენტთა რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს 2023 წლის 29 დეკემბრიდან 2024 წლის 11 იანვრის ჩათვლით.

5. პრეტენდენტთა სამოქმედო პროგრამების მოსმენა აკადემიურ საბჭოში გაიმართოს 2024 წლის 16 იანვარს.

6. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნები აკადემიურ საბჭოში ჩატარდეს 2024 წლის 18 იანვარს.

7. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) აქვს სამეცნიერო -პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება;

გ) აქვს ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 7 წლის გამოცდილება;

დ) არის 65 წელზე ნაკლები ასაკის.

8. პრეტენდენტმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე;

ბ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და ასლი;

გ) სამეცნიერო-პედაგოგიური და ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) სამოქმედო გეგმა;

ე) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ვ) ავტობიოგრაფია (CV) გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების მითითებით;

ზ) 2 ფოტოსურათი,ზომით 3X4-ზე;

თ) სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა.

9. განაცხადები მიიღება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისის სამდივნოში, თბილისი, კოსტავას,77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი 233. განცხადებები მიიღება 10 საათიდან 17 საათამდე, დასვენების და უქმე დღეების გარდა.

10. უნივერსიტეტის წესდების თანახმად, აკადემიური საბჭო ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით (2/3-ით), ფარული კენჭისყრით, ინდივიდუალურად წყვეტს 65 წლისა და მეტი ასაკის მქონე პირის მიერ ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების საკითხს. აღნიშნული ასაკის მქონე პირმა უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში

დამატებით უნდა წარადგინოს აკადემიური საბჭოს თანხმობა. ამ საკითხზე აკადემიურ საბჭოს დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს განცხადებით 2023 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით, უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტის მეშვეობით (მის: კოსტავას, 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-2 სართული). პირის დასწრება აკადემიურ საბჭოში მისი საკითხის განხილვისას სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული საკითხი არ განიხილება.

11. დადგენილება ძალაშია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე. 12. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**